„სახელმწიფო შესყიდვის შესახებ"

# ხელშეკრულება N 59

ქ. ხობი „4" „ნოემბერი" 2013 წელი

ერთის მხრივ, შპს „ხობი დასუფთავება და განათება" (შემდგომში „შემსყიდველი"), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის შპს „ხობი დასუფთავება და განათება"-ს დირექტორის გიორგი თათარიშვილის სახით და

მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „ნატალი & კომპანი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის კონსტანტინე მეტრეველის სახით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების" და „მიმწოდებლის" საქონლის წინადადების საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის(SPA130022928) შედეგებში ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. შესყიდვის ობიექტი

1.1. 120 (ასოცი) ცალი 240 ლიტრიანი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერები.

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1.შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

2.2.შესასყიდი საქონლის ღირებულება(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება") შეადგენს 8640.00(რვაათას ექვსას ორმოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

## 3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელონ საქონლის ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა საჭირო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძალაში მყოფი ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

3.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი.

## 4.საქონლის მიწოდების პირობები

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 20 კალენდარულ დღეში 2013 წლის 23 ნოემბრის ჩათვლით

4.2.მიწოდების ადგილი—ქ.ხობი ც. დადიანის N 202.

4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით და ტექნიკური საშუალებებით.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს ნაგავშემკრები კონტეინერები:

244691259

„ნატალი & კომპანი"
Natali & Company
"NATALI & COMPANY" LTD
401956164

- მიწოდებული საქონლის დასახელება;
- მიწოდებული საქონლის რაოდენობა;
- მიწოდებული საქონლის ღირებულება.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა –

განყოფილების მთავარი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში.

### 6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში

6.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

6.3 ანგარიშსწორების გრაფიკი: მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. ხელშეკრულების გაფორმებისას ანგარიშსწორების ფორმა ექვემდებარება დაზუსტებას შემსყიდველის მიერ.

### 7. ფასები

7.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული მისაწოდებელი საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

7.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

7.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

### 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

### 9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მიღებული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

### 10. სუბკონტრაქტორები

10.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დაქირავებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დაქირავებული არც ერთი სუბკონტრაქტორი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12 გარანტია

12.1 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ მიწოდებული საქონლის ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

12.2 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ჯარიმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

13.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების
შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება
პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების
0.3%-ის ოდენობით.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული
პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი)
პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების
შესრულებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 15. ხელშეკრულების შეწყვეტა.

15.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის
შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ან მისი
ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს [illegible] წერილობითი
ფორმით.

Natali
& Company
"NATALI & COMPANY" LTD
401965164

15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არათავისუფლებს მხარეს

დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3 ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დამატებითი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

15.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა); გ) მიმწოდებლის ქონებას ადევს ყადაღა;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე.

16. გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. ხელშეკრულების ენა

17.1 ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ხუთ ეგზემპლარად, თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

18. შეტყობინება

18.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

18.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

19. გადასახადები და დაბეგვრა

19.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

19.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

20.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

21. სხვა პირობები

21.1 არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი [illegible] და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

Natali
& Company
"NATALI & COMPANY" LTD
401966164

21.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

21.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

21.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

21.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

22. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

შ.პ.ს. „ხობი დასუფთავება და განათება"
მისამართი:ქ.ხობი, ც. დადიანის ქ. #202
საიდენთიფიკაციო კოდი:244691259.
ანგარიშის
ნომერი:GE90LB0113171075820000.
ს.ს. „ლიბერთი ბანკი"-ს ხობის ფილიალი.
ბანკის კოდი:LBRTGE22.
ტელ: 593-56-56-26.

დირექტორი: გიორგი თათარიშვილი.

/გ. თათარიშვილი/

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „ნატალი & კომპანი"
მის:ქ. თბილისი, დიდუბე- ჩუღურეთის
რაიონში,დიღმის მასივი,III კვ.კორ.1ა, ბ.
818.
ს/კ:401966164
ს.ს. „პროკატ ბანკი"
ანგ/ნომ:GE13TP0036020020001022
ბანკის კოდი: GAVOGE22

დირექტორი:კონსტანტინე მეტრეველი

/კ. მეტრეველი/